



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 4

ქ. გარდაბანი

31/01/2023

4-06-4-202301311731



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8 (რვა) ერთეულ ავტომობილზე
(ჩამოწერილი ჯართი) საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მესამე ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 იანვრის №18-1823024136 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართში მითითებული, რეგისტრაციიდან მოხსნილი, 8 (რვა) ერთეული ავტომობილის (ჩამოწერილი ჯართი) საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 4000 (ოთხი ათასი) ლარით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე